ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 161

ოთხშაბათი, 25 ივლისი, 1901 წ.

ᲒᲐᲖᲘᲗᲘ ᲓᲘᲠᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

1877—1901

ივერია

№ 161

ოთხშაბათი, 25 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სალოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—73)

ადრესი ტელეგრამებისა: Тифлисъ „Фармацевтика“

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(ვერაზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ვ. ი. გოგიაშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარამურზაანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲑᲘᲗ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხნიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არგანიტანცი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра

Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ავადმყოფთათვის კროვატები (ერთი უფასოდ).

მიხეილ გედევანიშვილისა,

ვერაზე, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მაჭავარიანი—თვალის 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკოვიჩი—საქირურგო—$12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 ს.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბედოევიჩი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები და კროვატები—მორიგებით.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კოჯორნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

ფოთის საოსტატო-ნოტარიუსთა

ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნის შეტანა შეიძლება ყოველ დღე. პროგრამები გაეგზავნება მსურველს უფასოდ. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან.

(8—ნ.—ნ)

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

დანიშნულ იქმნა მე-152 ქვეითა კავკასიის რაზმის კაპიტანი **ქართველიშვილი** არეშის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნა სახელმწიფო ქონებათა განჯის გუბერნიის გამგეობის საქმის მწარმოებლის თანაშემწე **წერეთელი** ასლანდუზის სარეზერვო ბატალიონში სამეურნეო ნაწილის საქმის მწარმოებლად.

ჩარიცხულ იქმნა სამხედრო-სამკურნალო სათადარიგო მოხელეთა შორის მე-64 ყაზანის რაზმის მკურნალი **ჩახხიანი**.

გადაყვანილ იქმნა გორის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე **ხიმშიაშვილი** ტფილისის მე-2 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს ტფილისში ამ თვის გასულს მოელიან.

*** ამ რამდენიმე წლის წინად მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მოსამსახურეთ განიზრახეს ტფილისში ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების დაარსება. მაშინვე შეიმუშავეს წესდების პროექტი და წარუდგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასამტკიცებლად. სამინისტრომ ზოგიერთი ნაკლი ჰნახა ამ პროექტში, ამიტომ უკანვე დააბ-

---

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲠᲐᲛ.

ყოველ გვარი ჩვეულება, რაც-კი საუკუნოების განმავლობაში კანონიერად შესისხლ-ხორცებია ხალხს,—რჯულია და მისი ცალ-გვერდად ება შეცდომაა, ყველაზე უფრო ფრთხილო-კი რჯულია, გინდ უგურებითაც იყოს ის შექერქრელებული. საერო ჩვეულებას, როგორც ლინებას, ისე გადაკვეთასაც (გაულინებას) თავისი კანონი აქვს; ი ხელის-შეწყობა, ანუ ხელისლა მხოლოდ ბრძნულ წინდახედულობას შეუძლია და მაშინაც კივ დიდი დრო ეჭირვება!.. უცბად, ტად მისი გამოწვევა, ან გაქრობა, არც ბრძანებითა და არც ვედით არ მოხერხდება. აი მაგალით: კიევის დიდმა-მთავარმა, ვლაირ წმინდად წოდებულმა, ბრძარუსეთში ქრისტიანობის შემოება. გაინათლა მისი სამთავრო გაენობით, შინაგანად-კი ნაკი იმალოდა და მე-17 საუკუნეში, რონიკონ პატრიარხმა მოინდომა ყვნილ სლავიანურ სამღვთო ილის შესწორება, ხალხმა სამიზეზოდ ჩაჰკიდა ხელი მის ბრძნულ განძრახვას და მრავალ-გვარმა მწვალებლობამ იჩინა თავი, რომელთანაც მართლმადიდებლობა დღესაც იბრძვის და ვერას გამხდარა!.. და მართლაც, იქ, სადაც დამკვიდრი დარბაისლობა და მოფიქრებაა საჭირო, აჩქარება და აფუცფუცება არ გამოდგება. ჩვენ-კი, დღევანდელი ქართველები, ძველთაგან დაშთენილ საქვეყნო ზნე-ჩვეულებას გულგრილად ვეკიდებით და მუდამ აუწონლად, ვნება-სარგებლის გამოურკვევლად, ერთის სიტყვით, ანუ კალმის წვერის გაკვრით უარ-ვყოფთ ხოლმე. ნიკონ პატრიარხისა არ იყოს, ყოვლად სამღვდელო ლეონიდის განკარგულებამ მიცვალებულთა ტირილისა და წესის აგების შესახებ მოულოდნელი უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენში. სჩანს, რომ თვით სამღვდელოებას ვერ გაუგია ბრძნული აზრი იმერეთის ეპისკოპოსისა, რომ ხალხს, მრევლებს, გადასხვაფერებულად ჩასმენია საჭირო ჭეშმარიტება.

ჩვენებურად მოთქმით, ზარით და ასაბიით ტირილის შესახებ ბევრჯელ გამოგვითქვამს ჩვენც ჩვენი აზრი და, რაც-კი დროს შეუფერებლად და ფარისევლურ გადაჭარბებად დაგვინახავს, დაგვიგმია!.. თვით ძირეულ ჩვეულების წინააღმდეგი არაოდეს არ ვყოფილვართ; მაგრამ, რაც-კი ზედ-მეტად დაქერწლებია, ის ადრეც დაგვიწუნებია და ახლაც უარსავყოფთ. ჩვენებური ტირილი, დღეს თითქმის სასაცილოდ გამხდარი, ძველად-კი აუცილებელ საჭიროებისაგან გამოწვეული და ხალხის გრძნობა-გონებაზე დაკანონებული, აი როგორი იყო: „მტრისას და ავისას!“ რომ ვინმე გადაიცვლებოდა, ჭირისუფლებს გარდაც, მისი ნათესავები, მოყვრები, მეგობრები და ნაცნობები მიდიოდენ, რომ გამოეტირათ და საამქვეყნოდ გამოთხოვებოდენ; თანაც გადასახურავი (გადასაბურავი) მიჰქონდათ: პურ-ღვინით, ფულით, თუ სამოსელ-ფარჩეულობით, ვისაც რა უფრო ეხერხებოდა. ეს, დიახ, დიდი დახმარება და ხელის გამართვა იყო ჭირისუფლებისა; მომტირლებს წინ მიუძღოდენ მოზარეები და ისე გულ საკლავად ჰგალობდენ „ვაივაის“ ხმაზე, რომ ცრემლები უნებურადაც-კი მოადგებოდა მსმენელს. მოთქმით ტირილის დროს, „აშვებულ“ ზარს „დააბამდენ“, ე. ი. შესწყვეტდენ გალობას, რომ მომტირლის „სათვალავი“ (მისი სიტყვები) არ დაკარგულიყო და გაეგონა ყველას. მოთქმის დროს ყველა იმას იგონებდა და ამბობდა, ვისაც რა ენახა ან გაეგონა მიცვალებულის შესახებ!.. უმოწმებდენ საჯაროდ საგმირო საქმეებს და კარგკაცობას. ეს ჩვეულება სხვა ქვეყნებშიაც ყოფილა. არ ვიცი, ჩვენ გადმოგვიღია ზარითა და მოთქმით ტირილი ბერძნებისაგან, თუ იმათ გადუღიათ ჩვენგან, მაგრამ ერთი და იგივე-კი ყოფილა. გადაიკითხეთ, „ილიონიანში“ (ილიადაში) ომიროსის ნაამბობი, სადაც ჰექტორის ტირილია... ან დედა რასეუბნება მოთქმის დროს, ან მამა, ან ცოლი და ან გარეშენი. გვგონებათ, რომ ეს ამბავი ჩვენში მომხდარა,—ქართველები სტირიანო!.. იმ დროს ამ გვარი მოთქმა საჭირო იყო, რადგანაც ჟურნალ-გაზეთები არ ყოფილა, და დღეს-კი, როდესაც მიცვალებულების ბიოგრაფია, ნეკროლოგები და თავგადასავალი იბეჭდება და ორატორები სიტყვებს ამბობენ, რაღა საჭიროა?! და აკი მიტომაც ისპობა ნელ-ნელა... ქალაქებში ვინღა სტირის მოთქმით? და თუ ვლეხობაში კიდევ მისდევენ, სჩანს, ჯერ კიდევ ყოფილა მოთხოვნილება სოფლებად და შემდეგში იქაც გადავარდება ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში.

ამბობენ, მახსრობა გამოდის, რადგანაც ზოგს არ ეტირება, ძალას ატანს თავს, რომ იტიროსო. და მოთქმის დროსაც რას როშავს, თვითონაც არ გაეგებაო. მართალია, ზოგი ფეხის აყოლით მოდის სატირალში და ფარისევლობა გამოუდის, მაგრამ ეს სად არ არის? დღევანდელი ჩვენი ორატორები რომ მათგანვე სიცოცხლეში შეურაცხყოფილ და გაკიცხულ მკვდრებს ქებითი სიტყვით იხსენიებენ და ცამდე აჰყავთ, ეს კი ფარისევლობა და სასაცილო მოქმედება არ არის? წამხედურობა ყველგან არის,—შესაყარი სენია!.. თვით ეკკლესიაში განა ყველა გულწრფელად შედის? რასაკვირველია, არა!.. და მაშ უნდა დაიკეტოს ხაყდრის კარები გაურჩევლად ყველასათვის?! სირცხვილი მათთვის, რომელთაც არ ეტირებათ მიცვალებული და ისე ფარისევლობენ!.. და ვისაც კი მართლა გული შესტკივა და ტირის, იმათ რაღ უნდა აეკრძალოსთ? ეს ნება-სურვილის საქმეა, სადაც არც რჯულისა და არც კანონის საწინააღმდეგო არა არის-რა. ვიმეორებ, რომ ეს ჩვეულება ხანგრძლივი აღარ არის და

რუნა შესავსებად. ეხლა ამ საქმის მოთავეთ უკვე შეუვსიათ პროექტი და ხელ-ახლა წარუდგენიათ სამინისტროსათვის დასამტკიცებლად.

⁂ მთავრობას ზოგიერთის ცვლილებით დაუმტკიცებია წესდების პროექტი „იაფ-ფასიან და უფასო სასადილოებისა და საჩაიების საზოგადოებისა“. ეს საზოგადოება ტფილისში არსდება.

⁂ გუშინ-წინ, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში ცხენის რკინის გზის კომისიას, უსახელო საზოგადოების დირექტორისა და სხვათა თანადასწრებით, კრება ჰქონდა იმის გადასაწყვეტად, შეუძლიან თუ არა უსახელო საზოგადოებას თავის ნებით უფასო ბილეთები დაურიგოს ზოგიერთ პირებს. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, ნება მიეცეს უსახელო საზოგადოების დირექტორს თავისის ნებით დაარიგოს 300-მდე უფასო ბილეთი.

⁂ ამ ჟამად ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით ალექსანდრეს ბაღში სდგამენ ხუთ დიდ ფარანს, რომ უფრო კარგად იქმნას განათებული ქალაქის შუაგულში ეს ერთად ერთი სიცხისაგან თავ-შესაფარებელი ბაღი.

⁂ ტფილისის სასწავლებელთა კომისიას არ შეუწყნარებია საქართველოს საეპარქიო საბჭოს თხოვნა ტფილისის სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის ყოველ წლივ 6000 მანეთის გადადების შესახებ.

⁂ ხვალ, 26 ივლისს, „კავკ. ვესტ.“-ის რედაქციაში კრება ექმნება იმ კომისიას, რომელსაც „ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების“ წესდების შემუშავება აქვს მინდობილი.

⁂ კავკასიის გზათა ოლქის გამგეობას უკვე შეუდგენია და წარუდგენია გზათა სამინისტროსათვის მომავალის წლის ხარჯთ აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით ოლქის მოხელე-მოსამსახურეთა შესანახად, ახალ გზების გასაყვანად და ძველის შესაკეთებლად საჭირო სულ 5 მილიონი მანეთი.

⁂ ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები მოხდება 20 და 21 აგვისტოს, დამატებითი ეგზამენები 22—27 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

⁂ 23 ივლისს, აგურხანის ქუჩაზე 19 №ში მცხოვრებ ა. ჯანჯღულაზოვისათვის განჯინიდგან მოუპარავს მოსამსახურედ ნამყოფს იაკობა ჰილაძეს შემდეგი ნივთები: დურბინდი, 20 მან. ღირებული, რევოლვერი 35 მან. და მომგებიანი ბილეთი შინაგან სესხისა 320 მან., სულ 375 მანეთისა. ჰილაძე შეიპყრეს.

⁂ გუშინ, 24 ივლისს, გრიგოლ ალიბანოვმა პოლიციაში განაცხადა, რომ წინა ღამეს თავის ოთახიდგან (გიორგის ქუჩა, სვანიძეს სახლი) ვიღაც ქურდმა, რომელიც წყლის სადენ მილით ამოსულიყო მეორე სართულზე, მოჰპარა შემდეგი ნივთები: საათი—15 მანეთად ღირებული, ოქროს სასიგარე—80 მან., ქისა—15 მან., ტანისამოსი—25 მან., სულ 135 მანეთისა.

კავკასიის მომავალი გამოფენა.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული ის გარემოება, რომ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენაზედ მისასვლელი გზა მეტად ცუდს მდგომარეობაში იქმნება, თუ არ შეკეთდა; განსაკუთრებით ელისაბედის ქუჩის ბოლო, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის პირდაპირ, და იმას იქითაც მოუკირწყვლელია და ცოტა წვიმა კმარა, რომ დიდი ტალახი გაჩნდეს. გამოფენის კომისარის თხოვნის თანახმად, ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში იჯარით გასცა ამ გზის მოკირწყვლის საქმე; 23 ივლისიდგან კიდეც შეუდგნენ გზის კეთებას.

—

რკინის გზათა მთავარ გამგეობას ნება დაურთავს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისათვის გადასდოს საჭირო ფული მომავალ საიუბილეო გამოფენაზედ მონაწილეობის მისაღებად. რკინის გზა გამოფენაზედ გაიტანს უმთავრესად სხვა-და-სხვა სისტემის ვაგონებს.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. მეჯვრისხევი (გორის მაზრა). როგორც გაზეთებიდგან გვითხულობთ, წელს ყველგან თურმე ერთნაირი ამინდებია. შეღავათიანმა ზამთარმა ისე გაიარა, რომ ბევრს ჩვენგანს სიცივე არც-კი უგრძვნია; დადგა გაზაფხული, მაგრამ ისეთი ხმელი და უწვიმო, რომ ყანები ბევრგან თითქმის დასამხო და ჩვენც ადრევე გული შემოგვყარა, ვაი თუ ზაფხულიც ასე შეაყოლოს და მთლად ამოგვწყვას, ამოგვტრუსოსო. იმ დროს, როცა ხალხი თავისის საქონლით მთლად მინდვრად იყო გაშლილი სამუშაოდ და დაიმედებული, რომ გაზაფხული მოსახსნის მწვანეს მცირედ მაინც გაუჩენდა, საძოვრები თითქმის მთლად მოტუსული იყო, ხალხი უბედახობას უჩიოდა. მაგრამ გვიანდა ცამ და ზაფხულის პირად რომ წვიმები დაიწყო, ისე უხშირა და უგულხანდგათ, რომ გამომხმარი გორახები კიდევ შეადნო და დედამიწას პირი აუმწვან-აუბუსუსა. ბალახები საკმაოდ კარგი მოვიდა და არც ისე ძლიერ თიბვა დაგვიანებულა, მაგრამ, აკი მოგახსენებთ, ხშირმა წვიმებმა თიბვაში და შეგროვება-დადგმაში ხელი ძლიერ შეუშალა და ბევრს მინდორშივე ჩაუღპა ნახევარი. ასრე რომ არა ყოფილიყო, წრევანდელისთანა ნამიანს წელიწადს ზღვა ბალახი უნდა მოეყვანა.

მოვრჩით თიბვასა და მკას შევუდექით, მაგრამ იმავე გაზაფხულის მიზეზიანობამ კიდევ ავნო და კიდევ შეაგვიანა მოსავალი. თუ უმისოდ ერთის და ორის კვირით ადრე სადმე გატანილი ნამკალი, წრეულ იქ მუშაობა დაგვიანებული გამოდგა, ყანების დაზურება შეგვსებასა და სამკალად მომწიფებას ხელი შეუშალა. მაინც დღეს თითქმის ყველგან ქართლში, გარდა ზოგიერთა ნაგვიანებ ყანებისა და მთა-გორიან ადგილებისა, მკა მოთავებულია, საკალოზე გამზადებიან. აქა-იქ-კი კიდევაც დაიწყეს გალეწვა, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთანებმა, ვისი წლის მოსავალიც, ანდაზისა არ იყოს—„კატას აეკიდება“ და ვისაც საიფანელი დღემდის აღარ გაჰყვა და შიმშილმა კარი მიუკაკუნა... მაინც, როგორც გამოსავალი გვიჩვენებს, წრევანდელი მოსავალი კარგი ვერ არის, საშუალოზედ ცოტა რამ მეტ-ნაკლებაა. რაც შეეხება ფასებსა და ღანამდგომელებით დასკვნას, ეს-კი ჯერ-ჯერობით მაინც არ ითქმის, რადგანაც ფასები უთუოდ ერთ თვემდე კიდევ არ გაიგება და არ გამაგრდება. ქერები-კი თითქმის ყველგან ძალიან მოსცდა.

საზოგადოდ სიმინდის მოსავლისა-კი ყველგან დიდი იმედი აქვთ, რადგანაც წვიმებმა ხელი შეუწყო.

რამდენიმე სიტყვა ვენახებისა და ხილის მოსავლის შესახებაც. როგორც ყველგან მთელს საქართველოში, ისე ქართლისაკენაც ვენახების წამლობა მოსავალს წელს ძლიერ უმაგრებს. ამიტომაც, თუ ვისმე დროზედ და რიგზედ ხელ-შეწყობით უწამლია, მოსავლისა იმედი აქვს, თუ არა-და, ბევრგან სხვა-და-სხვა ავადმყოფობამ, მაგალითად, სიყვითლემ (хлорозъ) და სხ. სოკომაგვარმა სენმა იჩინა თავი. საზოგადოდ-კი, თუ ცა დაუწყნარდა და სხვა რამ მიზეზი არ მიეცა, შეიძლება ვენახებზედაც ისევე ითქვას, რაც პურის მოსავალზე. რაც შეეხება ხილის მოსავალს, არც ეს არის წრეულს სანუგეშო მდგომარეობაში; წვრილმა ხილმა: ქლიავმა, დონდლომ და სხ. წრეულს იმედი სულ გაგვიმტყუნა და მხოლოდ-და ვაშლსა და მსხალს შევცქერივართ, მაგრამ ესეც ბევრგან მოსცდა, დაჭკნა. კომშს კარგად ასხია. ასრევე კარგად ასხია კაკლებს და მოსავალსაც დიდს მოელიან. საზოგადოდ, კარგა ხანია კაკლებს ასრე არა ესხმია.

ასეთს მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ვენახები და ხეხილები, ე. ი. ბევრგან დაავადებულ-დასნეულებულია, მაგრამ არ მცოდნე ხალხი ვერარას შველის და ყოველისფერს ღვთის განგებას ამიზეზებს. კარგი იქმნებოდა ამისათვის კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება იზრუნებდეს რასმე და თუ ერთხელ ფილოქსერის უბრალო ძებნაში ასი ათასობით ფულსა ჰხარჯავდა უოველ ზაფხულობით, ეხლა თითოეულს კუთხეს ორჯელ-სამჯერ აგრონომს მაინც გაუგზავნიდეს და დაავალებდეს დაათვალიეროს და თუ სადმე რაიმე მავნე სენი ჩნდება, ან გავრცელებულია, ხალხს უბრალო წამლობა ასწავლოს. დარწმუნებული ვართ, თუ რომ უმეტესობა ჩვენში ისე ყურ-მიგდებულია, რომ ვენახებისა და ბაღების მოვლას აგრე რიგად ყურს არ უგდებენ, საზოგადოდ ისეთნიც არიან, რომლებიც მხოლოდ ამითი სცხოვრობენ და, მაშასადამე, ეცდებიან რჩევისამებრ უწამლონ ყველას, თუ ჰსურთ გაჭირვება აიცილონ, დღევანდელს რთულს ცხოვრებას წელ მაგრად შეეგებნენ, უარესად არ გადატაკდნენ. მეორე მხრივ, ასეთი დროგამოშვებით სოფლების ჩამოვლა და გაგება—სად რა სენია და რა უბედურება მოელის ხალხსა, თვითონ სახელმწიფოსაც სულ სხვას აფიქრებინებს და თუ დღეს მხოლოდ შემთხვევით იციან ხოლმე ჩვენის ქვეყნის მმართველებმა—სად რისა და როგორი მოსავალი მოუვიდა გლეხობას, მაშინ თავისის მცოდნე მოხელეების პირით შეიტყობს მათისავე საკუთარის თვალით ნახავს. ეჭვი არ არის, ეს საქმეც შეიძლება კარგად მოეწყოს და ავადაც, ე. ი. მთლად მოხელის მიერ თავისის მოვალეობის შეგნებაზეა დამოკიდებული ყოველიფერი, მაგრამ ეს ხომ პრინციპიალურად სარგებლობას ამ საშუალებისას უარს არა ჰყოფს. მით უფრო-კი საჭიროა ეს იმ დრომდის, სანამ თვითონ ხალხი შეიძენდეს საკმაო სამეურნეო ცოდნასა.

ამ სამი-ოთხის დღის წინად აქეთ ძლიერი წვიმა იყო, ჭაერი არეულია, შეიძლება კიდევ მოინამოს დედამიწა.

ხან-მეჯვრელი

—

ზუგდიდი. დღეს, 22 ივლისს, სოფელს ჭკადუაშსთან, ზუგდიდიდგან 15 ვერსტის მანძილზე, თავადის კოწია დადიანის ტყეში, შეეტაკნენ ერთმანეთს ზოლდიცის ბოქაული თავისის სტრაჟნი-

---

თავის თავადაც გადავარდება.

ახლა გადავიდეთ ზარით ტირილზე: „ზორვა“ ნიშნავდა ძველად კერპთ-მსახურებას. „მზორველებად“ იწოდებოდნენ კერპთა მღვდელნი და „ზარი“ ერქვა მსხვერპლის შეწირვის დროს საგალობელს.—კერპობის დროს საგალობლები, მაგალითად: „მზეშინა“, „ოდილა“, „ოშავდილა“, „თინა“ და სხვანი ყველა დღემდისაც დარჩენილა ჩვენ ხალხში, მაგრამ სამგლოვიარო, საგალობელი ხასიათი დაუკარგავთ და გადაცვლილან საერო საფუნდრუკო სიმღერებად. მაშინდელი „ზარიც“, რომელიც დაუტოვებიათ განსაკუთრებით ტირილში სახმარ „სამგლოვიარო“ ხმად, რადგანაც კილო მწუხარების გამომწვევია და გარემოებასთან შეთანხმებული, დღეს, თუ არ მიყრუებულ სოფლებში და გლეხობაში, სხვაგან აღარსად გაისმის. მისი ადგილი მუსიკამ დაიჭირა. თუ შეძლებულსა და დიდკაცობას უნდა პატივი სცეს თავის მიცვალებულს და მუსიკით დამარხოს, საწყალსა და გლეხსაც აქვს შესაფერი თავ-მოყვარეობა: იმას უნდა თავისი მკვდარი „გაპატიოსნოს“, რომ მტერს არ ათქმევინოს: უპატრონოდ და უპატიურად დაიმარხა მისი მკვდარიო, სცდილობს უკანასკნელი ჭირისუფლობა გაუწიოს შეძლების და გვარად და, რადგანაც მუსიკისა და ცერემონიების თავი არა აქვს, მამა-პაპურ ჩვეულებას ეპოტინება: მოზარეები მოჰყავს და ზარით მარხავს. აქ არც სულისა და არც ხორცის სავნებელი არა არის რა და მაშ რა სარგებელია, რომ აიკრძალოს? არა სჯობია, რომ დროთა ვითარებამ ისევ-ისე თავის თავად გადააგდოს, როგორც შემოუღია... ძალა დაუტანებლად?!—გვეტყვიან, რომ „აღმოსავლეთ საქართველოში არც მოთქმით ტირილი იციან, არც ზარი და არც გადასახურავიო!“ და მერე კარგია ეს? წარსულთან კავშირის გაწყვეტის გარდა, ეს დღევანდელი ამერული ჩვეულება დიდი საზარალო და სამძიმოა ხალხისათვის: მკვდარი მარტო ჭირისუფლებსა და მის საკუთარ ოჯახს აწვება თავზე და იმდენათ აღარიბებს და სტეხს, რომ ცოცხლები უფრო შესაბრალისნი ხდებიან მკვდრებზე. იმერეთში კი ასე არ არის: მთელი სოფელი ერთად მონაწილეობას იღებს თვითოეულის ჭირსა და ლხინში; რომ ვინმე მოკვდება გლეხობაში, ყოველი გლეხი ვალდებულია ძღვნით ან გადასახურავით მივიდეს. თან მიაქვს: ერთი ცხრა პური, დოქი ღვინო, ერთი დედალი და აბაზი ფულად. ვისაც არც ეს შეუძლია, შრომით იხდის, ხელზე ემსახურება, შეშას მოუტანს, წყალს გაუთბობს და მოვალეობას მაინც შეასრულებს, რომ არ გამოსხლტეს წრეში. ეს ყველაფერი სავალდებულოა, დაკანონებული და მეტ სურვილზეა დამოკიდებული.

ამ გვარის ხელის შეწყობით ისე იმარხება მიცვალებული, რომ ჭირისუფლებს, არა თუ არა ეხარჯებათ რა და ვალი არ ატყდებათ თავზე, პირ-იქით მღვდლის გასასტუმრებელი და საორმოცო სულის მოსახსენებელი საწირავი რჩებათ ხელში. ეს ისეთი წესი და წყობილებაა, რომ ამაზე უკეთესს ჩვენ დღეს ვერარას გამოვიგონებთ და ესრე წოდებული „დასამარხი კასსა“ შედარებით ამასთან უმნიშვნელო რამეა. და ნუ თუ ეს ჩვეულება, ნაცვლად მისსა, რომ საყოველთაოდ შემოვიღოთ, უნდა აიკრძალოს.

აგრეთვე არ მოგვწონს ის განკარგულება, რომ მკვდარს სამ დღეს იქით ნუ გააჩერებთ დაუმარხავსო. ჩვენში უსარგებლოსა და უმოქმედოს არა თუ მკვდარს, ცოცხლებსაც არავინ აყენებს სახლში. ისე გიჟი ვინ იქნება, რომ მკვდარი სახლში აყროლოს და თავი შეიწუხოს გაუჭირვებლად? მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ, ათასში ერთხელ, სამ დღეში ვერ მოასწრონ დამარხვა... ეს მაშინ, როცა ჭირისუფალი შორს არის. ნახევარი იმერეთი გარეთ არის გასული სამუშაოდ; ზოგი სად და ზოგი კიდევ სად. შორს მყოფ ჭირისუფალს უნდა, რომ თავისი მკვდარი ერთხელ კიდევ ნახოს და გამოიტიროს, მაგრამ სამ დღეში ვერ მოასწრო მოსვლა; ვსთქვათ, ოთხი ან მეტი დღე დასჭირდა და ნუ თუ ის აღარ უნდა დაიმარხოს ქრისტიანულის წესით? აქადა, რატომ გადააცილეს სამს დღესო?.. ახლა გადავიდეთ საკურთხზე. იმისი აკრძალვა და დაშლა პირდაპირი შეცდომაა და ჭირისუფლის გულის დაჩაგვრა. საყვარლის საუკუნოდ დაკარგვა არავის არ უნდა. მკვდარს რომ ცივ მიწას მიაბარებს, მაინც კიდევ უნდა, რომ იმასთან კავშირი გაუწყვეტლად დაიჭიროს, გინდ თავის-მომატყუებელი და საოცნებოც რამ იყოს ის კავშირი. ამას ჩვენი ხორც-შესხმული ბუნება მოითხოვს. უფრო განათლებულ ქვეყნებში, ყოველ რჯულში და ყოველ ერში, ხშირად ჭირისუფლები თავისს კერძს უდგმენ ხოლმე გარდაცვლილ ოჯახის წევრს, თითქოს ის, დიდი ხნის მკვდარი, არ მომკვდარიყოს და მათთანავე იყოს. სხვა ქვეყნებში სასაფლაოები ისე არ არიან ეკალ-ნარისაგან წალეკული, როგორც ჩვენში, წალკოტებად არიან გადაქცეული. აქ არიან ხშირად ჭირისუფლები და დროს ატარებენ, რომ გულიდგან არ განიდონ თავისი მკვდარი და კავშირი არ გასწყვიტონ; ამით ისინი ნუგეშობენ და გულს იმშვიდებენ.

ჩვენ ხალხს ეს ჩვეულება კიდევ უკეთ მოუწყვია: საკურთხს უგზავნის ყოველ შაბათს მიცვალებულს, რომელსაც ყარიბ-გლახაკები სჭამენ და მიცვალებულის სულს შენდობას უგზავნიან. და ნუ თუ ეს იგივე ლოცვა არ არის? აღდგომა დღეს რომ სოფლელები თავ-თავის მკვდრებს საფლავზე წითელ კვერცხებს უმტვრევენ და „ქრისტე აღდგა“ ეუბნებიან, ვინ არ იცის, რომ ის კვერცხი საიქიოს არ მიუდის მკვდარს და ვერც აქედგან გაგზავნილ საკურთხს საიქიოს მკვდარი ვერ იგემებს, მაგრამ ამ ოცნებაში ცუდი რა არის? გულწრფელად ნამოქმედარს და ასრულებულს, გინდ მაინც და მაინც დიდი ჰკვიანურიც არ იყოს, ხშირად კეთილი ნაყოფი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებით და გავარდნილი ყაჩაღი გიდი გმუხვარი, რომელიც უძლიერეს ყაჩაღად ითვლებოდა. ასტეხეს სროლა და ყაჩაღი გმუხვარი მოკლულ იქმნა, მაგრამ დაიჭრა უმცროსი ურიადნიკი ბეჟან ბერიძე და კოწია გოგოლიშვილი. დიდად სამწუხაროა ამ ორი ურიადნიკის დაჭრა, მით უფრო, რომ ჭრილობას მძიმეს ამბობენ. ადმინისტრაცია ქებით და გამომძიებლით გაემგზავრა ჭკადუაშისაკენ.

20 ივლისს, სადამოს, სოფელ კახათში, ზუგდიდის მაზრაში, ადმასხან ქუთელიამ მოკლა რევოლვერით ანტონ შელია. ჭრილობა ქუთელიასაც აქვს, მაგრამ სუბუქი.

19 ივლისს დაასაფლავეს კოსტა დარჯანია, რომელიც 15 ივლისს დამეს მაყრათ წაჰკვა თავის ძმისწულს სოფელ ცაიშში, და 16 ივლისს დილას უეცრად, მარცხად გავარდნილის რევოლვერის ტყვიით სასიკვდილოთ დაიჭრა მერაბ გრიგოლიას მიერ.

ა. ზუგდიდელი

—

დ. ზუგდიდი. „ივერიის“ მე-158 ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში ვწერდით: „ამ დღეებში მდინარე ენგურის ნაპირს დამხრჩვალი გვამი ნახეს ახალგაზდა იოსებ ჯაფარიძისა. ნამდვილი მიზეზი ჯერ არავინ იცის, მტრობით არის დამხრჩვალი, თუ მოულოდნელად“. სამწუხაროდ, ამ კორესპონდენციაში უნებური შეცდომა შეგვეპარა: როგორც აღმოჩნდა, დამხრჩვალი ვიღაც უცნობი კაცია და არა ბ-ნი ჯაფარიძე, რომელიც დღესაც ცოცხალია. შემცდარი ცნობა ადგილობრივმა ბოქაულმაც მიიღო.

ზუგდიდელი ა—ნი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობამ შეიმუშავა დროებითი წესები იმ მუშათა პენსიების შესახებ, რომელნიც სახელმწიფო სამთო ქარხნებსა და მაღაროებში მუშაობენ. წესები ამ მიმდინარე წლის 15 მაისს იქმნა უმაღლესად დამტკიცებული. აი ამ უკვე გამოქვეყნებულ და მეტად საკეთილო წესების შესახებ რას გადმოგვცემს „Рус. Вѣст.“.

„დროებით წესები დიდ ისრიდიულ და ეკონომიურ ცვლილებას შეიტანენ მთა-მადნების იმ მუშების მდგომარეობაში, რომელნიც ქარხნებსა და მაღაროებში რამე მიზეზის გამო დაშავდებიან და მუშაობას ვეღარ შესძლებენ. ამიერიდგან სახელმწიფოს სამთო ქარხნებისა და მაღაროების ყველა მუშას, რომელიც-კი მუშაობის დროს და მუშაობის მიზეზით დაშავდება, პენსია მიეცემა. ეს წესები ბევრად მეტ უფლებას ანიჭებენ დაშავებულთ, ვიდრე ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ის კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება ქარხნის პატრონთა პასუხის გებას. პენსიის მიღება მუშას მარტო დაშავების დროს კი არა, მაშინაც შეუძლიან, როდესაც ეგრეთ წოდებულ პროფესიონალურ ავადმყოფობით გახდება ავად. უფრო მეტიც: პენსია არ მიეცემა მუშას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშა ბოროტ განზრახვით მოქმედებდა; ამ მხრივ დროებით წესები საკეთილოდ განსხვავდება არა მარტო ზემოხსენებულ კანონ-პროექტისა, ევროპიელ მუშათა შესახებ კანონებისაგანაც-კი. ამასთან ახალი კანონი სჯის მხოლოდ ბოროტ-განმზრახველს, იმის ოჯახს-კი პენსიას არ აკლებს, თუ უბედურებას სიკვდილი მოჰყვა. პენსიები მუშა-ქალებს გათხოვების შემდეგაც ეძლევათ. პენსიის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენადაა დაშავებული მუშა და რამდენად დაჰკარგა მან მუშაობის უნარი. იმას, ვისაც მუშაობა სრულიად აღარ შეუძლიან, დაენიშნება წლიურ სასყიდლის ორი მესამედი. ასეთი პენსია დაენიშნებათ მცირეწლოვან მუშებსაც, თუ მათ სრულიად მუშაობა აღარ შეუძლიანთ, ხოლო როდესაც სრულ წლოვანნი შეიქმნებიან, პენსია იმდენივე მიეცემათ მათ, რამდენიც დიდს მუშებს. დაშავებულთა ნათესავებისათვის პენსიის დანიშვნა დამოკიდებულია მათს ხნოვანებასა და იმაზედ, მახლობელი თუ შორეული ნათესავები ჰყავს. საყურადღებოა აგრეთვე ის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც დაშავებულ მუშებს, რომელთაც ხაზინიდგან ეძლევათ პენსია, შეუძლიანთ მიიღონ აგრეთვე პენსიები და შესაწევარი დამხმარებელ კასსებისა და საქარხნო ამხანაგობებისაგან. ამ რიგად ხაზინა ხელს უწყობს ურთ-ერთ დამხმარებელ ამხანაგობების დაარსებას, და ახალი წესები ამ მხრივაც გაირჩევა ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტისაგან. სამწუხაროდ, ამ პენსიებით სარგებლობა მუშათა მცირე რიცხვს შეუძლიან მხოლოდ. სამთო დეპარტამენტის უკანასკნელ ცნობებით, 1898 წელს სახაზინო სამთო ქარხნებში მსახურებდა სულ 34,208 მუშა. სულ-კი სამთო ქარხნებსა და მაღაროებში იმავე წელს 592,910 კაცი მუშაობდა“...

გაზეთი ბოლოს აცხადებს, სასურველია ეს საკეთილო წესები დანარჩენ მუშებისათვისაც იქმნას შემოღებულიო.

რუსეთი

გზათა მინისტრმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მგზავრთა მატარებელნი ხშირად იგვიანებენ ხოლმე და მგზავრნი ხან-და-ხან 14 საათობით გაჩერებულნი არიან სადგურებში, რაიცა იწვევს სამართლიანს საყვედურს მგზავრების მხრივ. ამის გამო გზათა მინისტრმა დაავალა რკინის გზათა უფროსებს, მიიღონ ზომები, რათა მატარებელნი თავის დროზედ მოვიდნენ დანიშნულს სადგურზედ, რის შესრულებაც უნდა დააკისრონ ადგილობრივს უფროსს აგენტებს.

— სამხედრო მინისტრმა მოხსენება წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს მთიელებს ქალაქ გროზნიაში მიწის შეძენისა და დასახლებისა. ამ ქამად გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილება, რომლითაც მთიელებს ზემოხსენებული უფლება მიენიჭა.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს თურმე ებრაელთა მიღება უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებლებში ორის პროცენტით შეზღუდოს.

— როგორც სასტატისტიკო ცნობებიდგან სჩანს, ამა მიმდინარე წლის პირველ ივლისისათვის რუსეთში მოქმედებდა 32 უცხო-ქვეყნელთა სააქციონერო საზოგადოება, რომელთა თანხაც ერთად 27 მილიონ მანეთს აღემატება. უმთავრესად ეს საზოგადოებანი სამხრეთ რუსეთში მოქმედებენ.

— გზათა სამინისტროს განუზრახავს თავის დაწესებულებათა გადაკეთება და უფრო კარგად მოწყობა. პროექტი ამისა უკვე შეუმუშავებიათ.

— მოსკოვში ამას წინად გარდაიცვალა მდიდარი დედა-კაცი ოვსიანიკოვისა, რომელსაც, როგორც ამბობენ, 80 მილიონ მანეთის შეძლება დარჩენია. მახლობელი მემკვიდრენი არ დარჩნენ ოვსიანიკოვისას და ეხლა რამდენიმე შორეული ნათესავი დაობს და ცდილობს ამ მილიონების მიღებას.

— როგორც „Сарат. Лист.“ გადმოგვცემს, მოსკოვ-პაველეცკის რკინის გზაზედ ამას წინად მთელი მატარებელი შეუჩერებიათ აურაცხელს ჭიებს, რომელნიც მიდიოდნენ თურმე ლიანდაგზედ და 40 ადლს ადგილს იჭერდნენ. მატარებელს თვლები შეუსუსტდა და თვით მატარებელი ადგილიდგან ვერ დაიძრა. ეს ამბავი აცნობეს მეზობელ სადგურს, საიდგანაც გაგზავნილ იქმნა დამხმარებელი ორთქლ-მავალი.

უცხოეთი

ჩინეთი. იაპონიის გაზეთი „იომიური ტიმბუნ“ ჰკითხულობს, შეუძლიან თუ არა ჩინეთს სამხედრო საზღაური გადაიხადოსო. გაზეთის აზრით, ჩინეთის ფინანსები ძალიან ცუდს მდგომარეობაშია. ჩინეთის წლიური შემოსავალი უდრის 88 მილიონ ტაელს, ხოლო ხარჯი 90 მილიონ გირვანქა სტერლინგს! ასეთს გარემოებაში, რასაკვირველია, გარეშე ვალი თანდათან მატულობს და მძიმე ტვირთად აწვება ქვეყანას. შემოსავლის ახალი წყაროები არსად სჩანს, რადგანაც ხალხი ახლაც ძლივს იტანს აუარებელს გადასახადს. მცხოვრებლებზედ გაწერილ გადასახადის საქმე სწორედ უხეიროდ არის დაყენებული. უმაღლესი მთავრობა არდგენს ყველა გადასახადის ხარჯთ-აღრიცხვას და შემდეგ მიანდობს ხოლმე ადგილობრივს მოხელეებს, როგორც უნდათ ისე მოჰკრიბონ მათმათი ხვედრი ფული, რის გამო დიდი უწეს-რიგობა ხდება, მოხელენი ბოროტად ხმარობენ თავიანთ უფლებას და უწინარეს ყოვლისა თავისს გამდიდრებაზედ ზრუნავენ, ხალხს უკანასკნელს სისხლსა სწოვენ, ხოლო უმაღლეს მთავრობისათვის თითქმის არაფერი რჩება. ამ გვარად გამოდის, რომ ჩინეთს, ამ უზარმაზარ ქვეყანას, რომელიც 400 პროვინციისაგან შესდგება, შემოაქვს ხოლმე უმაღლეს მთავრობისათვის 32 მილიონი ტაელი სადგილ-მამულო გადასახადი. საკმაოა ეს თანხა შევადაროთ იმ 100 მილიონ ტაელს, რომელსაც იძლევა უფრო ნაკლებ სახნავ მიწებიანი და უარეს ნიადაგიანი ინდოეთი, რომ გავიგოთ, თუ საქმე რამდენად ურიგოდაა დაყენებული ჩინეთში. მართლაც, ერთმა პოლიტიკურ-ეკონომისმა გამოიანგარიშა, რომ ჩინეთში შემოაქვთ სადგილ-მამულო გადასახადი 700-დგან 800 მილიონ ტაელამდე წელიწადში, ასე რომ 668 ანუ 767 მილიონი ადგილობრივ მოხელეთა ჯიბეში რჩება!

გაზეთი დასძენს, რომ ჩინეთს შეუძლიან თავისს საშუალებით ადვილად გაისტუმროს სამხედრო საზღაური, მაგრამ ამისათვის საჭიროა დაწესებულ იქნას მთელი მტკიცე უცხოელ მოხელეთა ფინანსთა გასაწესრიგებლად. კარგად გაწყობილ მთავრობას, დიდ სახელმწიფოთა ზედამხედველობის ქვეშე მყოფს, შეუძლიან მალე მოუღოს ბოლო ჩინელ მოხელეთა ძარცვა-გლეჯასაო.

გერმანია. ერთი იტალიური გავლენიანი გაზეთი ეხება პოლონელთა მდგომარეობას პრუსიაში და ჰკიცხავს ადგილობრივს მთავრობას საზოგადოდ სლავიანთა და კერძოდ პოლონელთა მიმართ პოლიტიკისა გამო. გაზეთის აზრით, რუსეთის მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს ყველაფერს, რაიცა ხდება პრუსიაში და მით სარგებლობს. პოლონელთა რუსებთან შერიგება უკვე აღსრულებული ფაქტია, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც რუსეთი ეცდება დაიპყრას მთელი დასავლეთის სლავიანთა ერთობ. ამის დასამტკიცებლად, მაგალითად, იტალიურს გაზეთს მოჰყავს რუსეთის სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედება, რომელიც აშკარად ცდილობს მთელ აღმოსავლეთის სლავიანები შეაკრთოსო. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს იმ ყოვლად შემავიწროებელს პირობებს, რომელშიაც ჩაყენებულია პრუსიის პოლონელთა სახალხო განათლების საქმე და დასცინის პრუსიელთა გაზეთებს, რომელთაც ჰგონიათ, ვითომ „ნემეცთა პროპაგანდის საქმეს ვემსახურებითო“. აგრეთვე ცხარედ ჰკიცხავს ნემეცთა ლიბერალურს პრესას, რომელმაც დაჰკარგა ყოველი გრძნობა სამართლიანობისა. დასასრულ პრუსიის მთავრობის ცრუ, გაუგებარ ტაქტიკის დასახასიათებლად გაზეთს მოჰყავს ცნობილ იტალიელ მწერლის პაოლო ფერრარის სიტყვები: „ჰო, ამ საქმეს ისინი სწორედ ნემეცურად აკეთებენ, და აბა ვინ რას გაიგებსო?“

ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზღვარ-გარეთ პოლიტიკურსა და ჟურნალისტურს წრეებში. მან დაამტკიცა, რომ იტალიელთა გავლენიან წრეებს არამც თუ აინტერესებს პრუსპოლონელთა საქმეები, არამედ ამ საქმეებსაც მშვენივრად იცნობენ.

— პრუს-პოლონელთა ოლქში მალე გაირჩევა ახალი სახპოლიტიკო საქმე 60 პოლონელთა ახალგაზრდისა, უმთავრესად გიმნაზიელთა, რომელთაც საიდუმლო პოლიტიკურ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებათ.

—

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

როგორც ამას წინად გამოცემულ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, შეერთებულ შტატებში უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში რკინის გზებზედ მომხდარ უბედურების დროს მომკვდარა 86,277 კაცი, ხოლო დაჭრილ-დაშავებულა 169,027 კაცი.

⁂

გრინტაუნში (ინგლისშია) ერთი მეტად უცნაური კაცი დაუპატიმრებიათ. ეს კაცი სოფლიდგან სოფელში დადის თურმე და „წარმოდგენებსა“ ჰმართავს: თაგვებსა და ბაყაყებსა სჭამს.

⁂

ანდრიუ კორნეჯის, რომელიც შტატებისა, შოტლანდიისა და კანადის სკოლების წიგნთ-საცავებისათვის ფულს არ იშურებს, გამოუცხადებია, რომ 1½ მილიარდი მანეთი კიდევ მაქვს შესაწირი, რომელსაც ამ დღეებში გავანაწილებო.

ამერიკული გაზეთები ძალიან ბევრსა სწერენ კორნეჯის ერთ ძველ ვალის შესახებ, რომლის გასტუმრებაც მილიონერს ეხლა განუზრახავს. ამ 53 წლის წინად, როდესაც იმისი დედმამა შოტლანდიიდგან ამერიკაში გადასახლებულა, კორნეჯის დედას ერთის ქალისაგან —ლენნოქსისაგან 91 ფრანკი და 75 სანტიმი უსესხნია. ეს ფული საგზაოდ იყო საჭირო, რადგანაც თავიანთი ფული არა ჰყოფნიდათ. კორნეჯი მაშინ 10 წლისა ყოფილა. თვით ლენნოქსი ცოცხალი აღარაა, მაგრამ იმას დარჩენია ორი ძმისწული (ქალები), რომელთაც ამას წინად კორნეჯისათვის წერილი მიუწერიათ და ძველ ვალში 220 ფრანკი უთხოვნიათ. კორნეჯის აზრადა აქვს ამ ქალებს, რომელთა ნათესავის წყალობითაც კორნეჯის დედ-მამა ამერიკაში გადასახლდა

აქვს ხოლმე. ზოგჯერ, სადაც ჰკუა სცდება და სტყუის, იქ გრძნობა მართალია. ნუ დაივიწყებთ, რომ ხალხის ჩვეულება უმეტესად გრძნობის ნაყოფია და მისი ხელის შეხება საადვილო არ არის!.. დიდი დაკვირვება და გამჭრიახობა ეჭირვება.

გავიხსენებთ ერთ მაგალითს: ქართველებს საზოგადოდ ყოველთვის ისეთი შიში და კრძალვა ჰქონდათ ტაძრებისა, რომ არა თუ ეკკლესიიდგან, საყდრის გალავანშიაც რომ ყრილიყო, გინდ თვალ-მარგალიტი, არ გაიტანდა, ბევრგან ნანგრევებში, გაცივებულ საყდრებში, ეყარენ უპატრონოდ ძველად შეწირული ნივთები და ხელს ვერავინ ჰკიდებდა, არა თუ მარტო ქრისტიანები, სხვა რჯულისანიც კი. თვით ქურდები, კაცის მკვლელები და გადავარდნილები (ყაჩაღები) ღამეს თუ გაათევდენ იმ წმინდა ნანგრევებში, თორემ არას გაიტანდენ იქიდგან. ასე ძნელია მისი გატეხა, რაც ხალხს გრძნობა გონებაში დაუკანონებია, —ამ ოც-და-ათის წლის წინეთ, „მართლმადიდებლობის“ აღმადგენელმა საზოგადოებამ იფიქრა: რა საჭიროა, რომ ამდენი შეწირული ნივთეულობა: თვალ-მარგალიტი, ბეჭედ-საყურეები, ვერცხლის ავენები, მოჭედილი ხმალ-ხანჯალი და სხვანი, —უნაყოფოდ აწყვია ეკკლესიებში, მაშინ როდესაც თვით ის საყდრები კი ინგრევა და რომ გადავაკეთოთ, საშუალება არსად არის? არ ემჯობინება, რომ ის ნივთები გამოვიტანოთ, საჯაროდ (აუკციონით) გავყიდოთ და ფულად ვაქციოთო?.. ერთი შეხედვით ეს დიახაც ჰკვიანური მოსაზრებაა, მაგრამ აი რა შედეგი მოჰყვა ამ ჰკვიანობას: ხალხმა რომ ეს ნახა, ჯერ იუცხოვა... მერე იფიქრა: ალბათ საშიში არა ყოფილარაო და თანდათან ისე მიეჩვია, რომ დღეს თვით ქრისტიანები სტეხენ და ძარცვენ. ყოველ საყდარს მცველები (ყარაულები) აყენია და ქურდების დასაფრთხობად წამ და უწუმ რეკენ ზარებს. —და ადრე რომ ხალხი ზარის რეკაზედ სასოებით პირჯვარს იწერდა, დღეს ისე მიაჩვია ყური ამ სიწმინდეს, როგორც თოფის ხმას. ამ მაგალითის ახსნა აღარ ეჭირვება. განყენებული მოსაზრება, გინდ ჰკვიანურიც იყოს, თუ ხალხის გრძნობა-გონებაზე არ არის გამოჭრილი, უნაყოფოა და ხშირად ვნებაც მოაქვს.

აკაკი

◆

ხოლო თვით კორნეჯის შეძლება მიეცა მილიონების შეძენისა, დიდ ძალი ფული მისცეს.

* * *

ამას წინად ცნობილ არქეოლოგს მასპეროს ეგვიპტეს ძველ საფლავებში ოქრო უნახავს. ქიმიკოსს ბერტელოს გაუსინჯნია და აღმოუჩენია, რომ ამ ოქროში ერთი მეხუთედი ნაწილი ვერცხლი ყოფილა, ხოლო ოთხი მეხუთედი—ოქრო.

* * *

ბარცელონის ტეატრში ამას წინად წარმოუდგენიათ ახალი დრამა, პატრის ფეიოდივის მიერ დაწერილი. დრამა იეზუიტების წინააღმდეგ არის მიმართული. ხალხს საშინლად მოსწონებია იგი. ბოლოს ავტორი გამოუხმიათ და, როდესაც სცენაზედ ანაფორაში გამოწყობილი მღვდელი გამოუყვანიათ, ხალხი დიდ აღტაცებაში მოსულა. ორკესტრს რამდენჯერმე გაუმეორებია „თავისუფლების ჰიმნი". თეატრიდგან გამოსვლისას ავტორი საზოგადოებას ხელით გაუყვანია ქუჩაში.

* * *

რუსეთიდგან 1900 წელს სხვა ქვეყნებში გადასახლებულა სულ 66,835 კაცი. აქედგან უმრავლესობა შეერთებულ შტატებში წასულა—50,144 კაცი. შემდეგ, ბევრი ინგლისის ნავთსადგურებში გადასახლებულა, სამხრეთ ამერიკასა, აფრიკასა, არგენტინასა, კანადასა, ბრაზილიასა და ავსტრალიაში.

* * *

უძველესი წიგნთ-საცავი აღმოაჩინა ამას წინად ფაიტსბურგის უნივერსიტეტის (ამერიკაშია) პროფესორმა ხილპრეხტმა. ეს პროფესორი თერთმეტი წელიწადია, რაც მიწის თხრასა და ძველ ნაშთების ძებნას შეუდგა იმ ადგილას, სადაც უწინ ნიპპური იყო, ბაბილონის პირველი სატახტო ქალაქი. მრავალ სხვა ძვირფას ნაშთს გარდა, პროფესორმა აღმოაჩინა მთელი წიგნთ-საცავი, რომელიც 30,000 წიგნს შეიცავს თურმე. ეს წიგნები უძველეს დროს ეკუთვნის 4000—5000 წლ. ქრისტეს დაბადებამდე. თხზულებანი მშვენივრად შენახულა, რადგანაც თიხის თხელ ფირფიტებზეა თურმე დაწერილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

23 ივლისი.

კრონბერგი, ნაშუადღევის 4 საათი. იმპერატრიცის ვიქტორიის ჯანმრთელობას ცვლილება არ ეტყობა; იმპერატორი და იმპერატრიცა ავადმყოფთან არიან.

ლონდონი. მეფე კოუსიდგან დაბრუნდა ლონდონში და ნაშუადღევს კრინბერგში მიემგზავრება.

კიუსტენჯი. ვიცე-ადმირალმა გილდებრანდტმა გუშინ რამდენიმე კაცი ინახულა. საღამოს ქალაქის საბჭომ ბალი გამართა, აქედგან ვიცე-ადმირალი მხლებლებითურთ სინაიაში წავიდა, სადაც მეფეს ინახულებს; საღამოს 5 საათზედ უკანვე კიუსტენჯეში დაბრუნდება.

ბელგრადი. სახალხო კრებაში აქამდის არჩეულ იქმნა 88 მომხრე მთავრობისა, მათ რიცხვში 76 რადიკალი, 4 დამოუკიდებელი რადიკალი და 7 ლიბერალი, მათ შორის ავაკუმოვიჩი და რიბარცი; 4 ოლქში 30 რწმუნებითურთ ხელ-ახლა უნდა მოახდინონ კენჭის ყრა; არჩევნებში აუარებელი წევრი იღებს მონაწილეობას.

ჰონკონგი. ინგლისის სამხედრო გემი „Glori" ამოიდგან ჩამოვიდა; იქ მშვიდობიანობა სუფევს. ამოიში რჩება ორი ინგლისელთა სამხედრო გემი.

კონსტანტინეპოლი. სერბიის ელჩმა გადასცა ავსტრ-უნგრეთის ელჩს ნოტა, რომელშიაც თხოულობს შუამდგომლობას ზიბეფჩის საფოსტო გასაგზავნ ნივთების დაკავებისა გამო. მიუხედავად თევფიქ ფაშის დაპირებისა, ეს ნივთები აქამდის არ დაუბრუნებიათო. ელჩი ამბობს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა სურვილი, მიიღოს ღონისძიებანი სხვა სახელმწიფოთა ფოსტამტებისა და საელჩოთა წინააღმდეგაც. გაზაფხულიდგან დღემდის ძველის სერბიიდგან სერბიაში გადასახლდა ათასამდის ოსმალეთის ქვეშევრდომი სერბიის ეროვნებისა.

ლონდონი. საფრანგეთის წარმომადგენელს პეკინში აუწყეს, რომ საფრანგეთს განზრახვა აქვს გაიყვანოს სწორი რკინის გზა პაოტინფუდგან ტიანძინამდის ჩინეთის თანხმობით გინდ დაუთანხმებლად.

პეკინი. პეკინიდგან უცხოელთა ჯარის გაყვანა უკმაყოფილებას იწვევს პეკინის უცხოელ მცხოვრებთა შორის. ისინი ამბობენ, რომ ჩინელები ახლაც ურიგოდ გვექცევიან, რადგანაც ჯარები ქალაქს სტოვებენ, და ძველის ჩვეულებისამებრ ისევ შეურაცხგვყოფენ ქუჩებშიო.

ლონდონი. ქვრივ იმპერატრიცის ჯანმრთელობის შესახებ ახალ ცნობების მიღებისა გამო მეფე დღეს არ წავა ალბათ გერმანიაში.

გროდნო. ბოსტნეულობისა და კარტოფილის მოსავალს კარგს მოელიან. ამ სანოვაგის ფასი ბაზარში ძალიან მცირეა.

კოვნო. შემოდგომის ნათესობას ძალიან კარგი პირი უჩანს, ხოლო გაზაფხულის გვალვამ გააფუჭა; მუხუდო ბევრს ადგილში ჭიამ დააზიანა; თივა და საძოვარი ბალახი ბლომად მოვიდა.

ნიჟნი ნოვგოროდი. დღეს გემის პატრონებმა გზათა ოლქის უფროსთან მოლაპარაკების დროს განაცხადეს. რომ საჭიროა გაფართოებულ იქმნას ფარვატერი ვოლგაზედ ციმბირის ნავთ-სადგურთან და გაწმენდილ იქმნას ცარიცინის ნავთ-სადგურიო.—ციმბირის ნავთ-სადგურის შესახებ დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნება ზომები, რისთვისაც იჯარით იღებენ დიდს მიწის საქაჩავ მანქანას სორმოვის ქარხანაში გაკეთებულს.

24 ივლისი.

პეტერბურგი. 22 ივლისს პეტერგოფის დიდ სასახლეში მისს უდიდებულესობას წარუდგა მაროკოდგან მოსული საგანგებო საელჩო და ძღვენი მიართვა.

23 ივლისს პეტერბურგში ჩამოვიდა ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის უავგუსტოესი ძმა პრინცი ვოლდემარ დანიელი მეუღლით პრინცესა მარიამ დანიელითურთ. ბრძანება სამხედრო უწყების მიმართ: „23 მაისს ამ წლისა მე-11 აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა რაზმის ჯარის-კაცი ალექსი სერგიევსკი, რომელიც დარაჯად იდგა იმპერატორის მუკდენის სასახლის კართან, ვიღაც უცნობმა კაცმა ხელში დასჭრა ტყვიით. მიუხედავად მწარე ტკივილისა და სისხლის დენის სერგიევსკი მაინც თავისს ადგილზედ დარჩა დარაჯად ვიდრემდის იგი არ შესცვალა უფროსმა. 27 ივლისს ბათუმში მიხეილის ციხის ბატარეის აფეთქების დროს მოკლულ იქმნენ სხვათა შორის დარაჯის უფროსი და დამრიგებელი. ამის გამო დარაჯი კანონირი ეგორ ბუცივინი თავისს ადგილს არ მოშორდა და შეცვლილ იქმნა მხოლოდ უმაღლესად მიღებულ იმ ბრძანებით 14 ნახევარ საათს შეუწყვეტელ სამსახურის შემდეგ. როცა ზემოხსენებული შემთხვევანი ეუწყა მის უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, გამოეცხადოს მსროლელ ჯარის-კაცს სერგიევსკის მეფური მადლობა და ებოძოს მას ვერცხლის მედალი გიორგის ლენტითურთ გულზედ დასაკიდებლად, ხოლო კანონირს ბუცივინს ოქროს მედალი გიორგის ლენტითურთ გულზედ დასაკიდებლად. ეს ამბავი სამხედრო უწყებას ამისთვის გამოეცხადა, რომ თუმცა ზემოხსენებულის მსგავსი შემთხვევა არა იშვიათია ჩვენს ჯარში, მაგრამ ეს მაგალითია მტკიცე დისციპლინისა და სამსახურის რიგიანად ასრულებისა, რასაც ვერ შეარყევს განსაკუთრებული გარემოებაც.

კრონბერგი. იმპერატრიცა ვიქტორია წყნარად გარდაიცვალა; გარდაცვალებულის სარეცელთან იყვნენ იმპერატორი, იმპერატრიცა და აქვე მყოფნი იმპერატორის სახლეულობისა:

სინაია. ვიცე-ადმირალი გილდენბრანდტი რუსეთის ესკადრის აფიცრები შუადღეს აქ ჩამოვიდნენ ვაგზალი სადღესასწაულოდ მორთულ იქმნა. სტუმრებს მიეგებნენ მეფის სამხედრო კაბინეტის უფროსი გენერალი ვარტიადი და შემდეგ რუსეთის საელჩოს მდივნები. ვიცე-ადმირალი და აფიცრები პელეშის ციხე-დარბაზში წავიდნენ, სადაც მათ საპატივსაცემოდ გამართულ იქმნა სადღესასწაულო საუზმე.

პარიჟი. როგორც ხმა დადის, გარეშე საქმეთა სამინისტროში შეტანილ იქმნა განსახილველად კონსტანის წინადადება იმის შესახებ, რომ იგი გაწვეულ იქმნას კონსტანტინეპოლიდგან და ბაშფოროები გადაეცეს მუქირ-ბეის კონსტანტინეპოლში „Quais et chantlers"-ის საზოგადოების საქმის გაჭირვებისა გამო.

ვაშინგტონი. სამიწად-მოქმედო ბიუროს ცნობებით ბამბის მოსავალს ტეხასში 12% და არკანზასში 15% დააკლდა წინანდელზედ; მოუსავლობა საზოგადოდ გვალვამ გამოიწვია, ხოლო აღმოსავლეთ შტატებში პირიქათ ნამეტანმა სინოტივემ; ბამბის საშუალო მოსავალი უდრის 772.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა, (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.), ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.), ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.), ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

სააგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

სააგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.).

განცხადებანი

წმ. ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1901—1902 სამოსწავლო წელს ქ. თელავის წმიდა ნინოს სასწავლებელში ახლად შემსვლელთ, ვაკანსიების მიხედვით, მიიღებენ მხოლოდ მოსამზადებელ განყოფილებაში. თხოვნები და ყველა საჭირო ქაღალდები გამგეობის კანცელარიას უნდა წარუდგინონ არა უგვიანეს 20 აგვისტოსი, ხოლო ის ქალები, რომელნიც შესვლას აპირობენ, ეგზამენისათვის უნდა გამოცხადნენ 31 აგვისტოს, დილის 8 საათზედ. მიიღებენ ქალებს კონკურსით.

განმეორებითი ეგზამინები მოხდება 27—28 აგვისტომდე, ხოლო სწავლა 4 სექტემბერს დაიწყობა. ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ სწავლის ფასი როგორც პანსიონერებისა, აგრეთვე გარედგან მოსიარულეებთა, სრულად უნდა იქმნას შეტანილი წლის პირველ ნახევრისა—პირველ სექტემბერს, ხოლო მეორე ნახევრისა—10 იანვარს (პანსიონერებმა 95 მანეთი, ნახევარ პანსიონერებმა—50 მანეთი და გარედგან მოსიარულეთ—20 მანეთი).

ახლად შემსვლელთ, ეგზამენების დაჭერის შემდეგ, ფული დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანონ. სომხურის ენისა და მუსიკის სწავლებისათვის ცალკე სასყიდელია.

ის მოსწავლენი, რომელთა სწავლის ფასიც დროზედ არ იქნება შეტანილი, სასწავლებლიდგან გასულად იქმნებიან ჩათვლილნი.

გამგეობის თავმჯდომარე სოფიო განსევგიჩისა.

(3—უ—1)

როიალები

პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ იმ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

გ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—19)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას

გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებსა, ამასთან მყიდველს ეთმობა მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში, რაშიაც ყველა მაშინის შეძენის მსურველს ვთხოვთ მობრძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელნი გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯიმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარეხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 52 და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯიმუხაძე, ტელეფონი 756. (163)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Іюля 1901 г.
სტამბა გქ. ივ. ხუდაძისა დვორცო-მედუქნის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე